

# ხელისუფლების „გარდისფერი“ პოლიტიკა

ლადო პაპავა: „შემოდგომაზე რაიმე კატასტროფულ ვითარებას  
მე ნამდვილად არ ველოდები“

გაზეთი “მთელი კვირა” – 17 აგვისტო, № 219, 2009

ექსპერტთა შეფასებით, როგორი იქნება შემოდგომით ქვეყანაში ვითარება, ამაზეა დამოკიდებული როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის ბედი. თუმცა, ამაზე მნიშვენლოვანი ის არის, თავად ქვეყნას და მოსახლეობას რა ელოდება.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ხელისუფლების კომენტარებიდან სულ უფრო შეუძლებელი ხდება. ყოველ შემთხვევაში, ერთ საკითხზე იმდენი პასუხი არსებობს, რამდენიც ხელისუფლებას ვითარების მიხედვით ესაჭირობენ.

რას ფიქრობენ ექსპერტები, როგორია მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები დღეის მდგომაროებით და როგორ შემოდგომას ელოდებიან, ამ საკითხებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: მთავარი პრობლემა, რითაც არის გამოწვეული მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მსოფლიო ჯერ ვერ გათავისუფლდა ამ კრიზისიდან და ამიტომ პროგნოზებიც ერთმნიშვნელოვანი არ არის. სავარაუდოდ მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ თუ სრულად არ დასრულდება, 2010 წლის ბოლოსათვის კლებისკენ მაინც წავა. მაგრამ დღეს რეალურად კრიზისული ვითარებაა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში კრიზისულ ვითარებას აქვს როგორც უშუალოდ ეროვნული ფესვები, ისე საერთაშორისო გლობალური კრიზისის გავლენა. ის, რომ სქართველოს ეკონომიკა, ღვთის მადლით, ფეხზე დგას, ეს არის, უწინარეს ყოვლისა, იმის დამსახურება, რომ საქართველო იდებს საერთაშორისო

ფინანსურ დახმარებას და სწორედ ეს არის გარანტია იმისა, რომ ბიუჯეტი არ მცირდება.

ასეთ მაგალითს მოვიტან: პარლამენტმა ცოტა ხნის წინ მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები დაამტკიცა და ამ ცვლილებით, საგადასახადო შემოსავლები შემცირდა ნახევარი მილიარდით. ეს სერიოზული შემცირებაა. მაგრამ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს ეს არ შეეტყობა, რადგან, ბიუჯეტი იზრდება 814 მილიონით. აქედან 260 მილიონი არის სახაზინო ვალდებულებებისთვის განსაზღვრული, ანუ იმ სესხისთვის, რომელსაც იდებს მთავრობა კომერციული ბანკებისგან. დანარჩენი კი არის უცხოური დახმარებები კრედიტებისა და გრანტების სახით და ასევე პრივატიზაციიდან მიღებული თანხები.

ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები რომ მცირდება, ეს არის დასტური იმისა, რომ ეკონომიკაში მდგომარეობა ცუდადაა, ანუ ეკონომიკა ვერ ქმნის იმდენ შემოსავალს, რომ ბიუჯეტში შესაბამისად იქნას ასახული. მაგრამ, მეორეს მხრივ, სახეზე გვაქვს ის, რომ ბიუჯეტი იზრდება და ამის წყარო არის უცხოური დახმარება.

ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: საპროტესტო აქციებს მთავრობამ საკმაოდ დიდი მორალურ-ეკონომიკური დატვირთვა მისცა და თქვა, რომ ეს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისისა მთვარი მიზეზია. ძალიან საინტერესო არის ის, რომ თვითონ სტატისტიკის დეპარტამენტის საიტზე დევს ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიგა პროდუქტის კლება არის 5,9%, ანუ თითქმის 6%. 9 აპრილი და შემდგომი პერიოლი კი პირველ კვარტალში არ არის. ლამის ექსპროცენტიანი კლება კი სწორედ პირველ კვარტალში არის დაფიქსირებული.

რაც შეეხება საპროტესტო აქციებს, თავად პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ წლის ბოლოს გვექნება 1,5%-იანი კლებაო. პირველ კვარტალში თუ ექსპროცენტიანი კლება იყო და წლის განმავლობაში იქნება ერთი ან ერთნახევარ პროცენტიანი კლება, გამოდის, რომ საპროტესტო აქციებს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა “გაუუმჯობესებია”, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც...

„მ.გ“: თქვენ თუ გაქვთ მონაცემები, რეალურად ამ აქციებმა რა გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე?

**ლ.პ:** რეალურად ნებისმიერი აქცია, როდესაც არის ხანგრძლივი, ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, ნებატიურ გავლენას ახდენს. მაგრამ საქართველოში ნამდვილად ვერ ვიღაპარაკებთ რადაც სერიოზულ გავლენაზე. დავიწყოთ იმით, რომ რუსთაველზეც კი აქციების დროს არც ერთი მადაზია, არც ერთი ბანკი, არც ერთი სასტუმრო არ დახურულა. საპროტესტო აქციებს მათი მუშაობისთვის ხელი არ შეუშლია. დროებით დაიხურა მხოლოდ “რუსთაველის” კინოთეატრი და ისიც იმიტომ, რომ მოსახლეობის თავშეყრისათვის დამატებითი სიმწვავე არ მიეცა. ერთად-ერთი დისკომფორტი ჰქონდა მოსახლეობას, მაგრამ ეს ეკონომიკაზე ისე არ აისახება, რომ რაიმე არსებით გავლენაზე ვიღაპარაკოთ.

„მ.პ“: მაგრამ მთავარი აქცენტის ინგესტიციების შემოსვლისთვის ხელის შეშლაზე კეთდება. ხელისუფლების ეს არგუმენტი საფუძვლიანად არ მიგაჩნიათ?

**ლ.პ:** რაც შეეხება ინგესტიციებს, ინგესტიციების შემოსვლის პრობლემა მაინცდამაინც აქციებთან არ არის დაკავშირებული. ნებისმიერ ქვეყანაში კლებულობს ინგესტიცია, როდესაც მსოფლიოში არის გლობალური ფინანსური კრიზისი. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი ფული არ არის და ეს პირდაპირ აისახება ინგესტიციების ჩადებაზე. ამას დაქმატა რუსული აგრესიაც. როდესაც ქვეყანა ადმონიდა საომარ ვითარებაში, რომელი ინგესტორი შემოიტანს ფულს?

ამ ყველაფერს კი წერტილი დაუსვა თავად სააკაშვილის განცხადებებმა, რომელიც მთელმა მისმა გუნდმა აიტაცა. სააკაშვილმა თქვა, რომ საქართველოს ომი არ წაუგია და დამარცხედა მხოლოდ ერთ ბრძოლაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომი გრძელდება და, თუ ომი გრძელდება, ფულს ვინ შემოიტანს?

რა თქმა უნდა, სააკაშვილის ეს განცხადება, შესაძლოა, პოლიტიკურად აბსოლუტურად გამართლებულიც იყოს, მაგრამ ეს ამავე დროს ნებისმიერი ინგესტორისთვის უარყოფითი მუხტის მატარებელი შეტყობინება რომ არის, ცხადია. რადგან, თუ პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთ ბრძოლაში დავმარცხედით და ომი გრძელდებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგი ბრძოლებიც არის მოსალოდნელი და, თუკი ომია მოსალოდნელი, რა თქმა უნდა, ეს ინგესტიციების შემოდინებაზე მოქმედებს.

ეს განცხადება პოლიტიკურად გასაგებია, რადგან, როდესაც ოპოზიცია ეუბნება, რომ პრეზიდენტმა ომი წააგო და გადადგომას სთხოვს, იგი ამბობს, რომ

ომი არ დასრულებულა და, ცხადია, ომში მთავარსარდალი ვერ გადადგება. ეს არის ძალიან მარტივი ლოგიკა და გათვლილი პოლიტიკური ოპონენტების საპასუხოდ. მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ ამ განცხადებას, ამავე დროს, გავლენა აქვს ინვესტიციებზეც და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სამთვიან აქციებს შეიძლება პქონოდა. ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ დღეს არანაირი საპროტესტო აქციები არ გრძელდება, მაგრამ ამას არანაირი საინვესტიციო ბუმი არ მოჰყოლია.

**„მ.პ“:** ხელისუფლების პოლიტიკა, – როდესაც სჭირდება შემოდის ინვესტიციები და როდესაც სჭირდება, არ შემოდის, რეალურად გავლენას ახდენს ინვეტიციების შემოსვლაზე?

**ლ.პ:** ეს არის ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკა და მარტო ინვეტისციებთან დაკავშირებით კი არა, ყველა საკითხში ასეა. ეპონომიკიდან გადახვევას გავაკეთებ და ერთ მაგალითს მოვიტან: რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავზე „იმედზე“ პრეზიდენტის გამოსვლა იყო და უურნალისტმა დაუსვა კითხვა, რომელიც ეხებოდა ომის გამომწვევ მიზეზებს. სააკაშვილმა ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ის, რომ 2008 წლის აპრილში ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში თრაზროვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებულიო. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აპრილში გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ მაპ-ი არ მოგვცეს, მაგრამ მოგვცეს ამაზე ბევრად უკეთესიო. წელიწადნახვრის შემდეგ კი გვეუბნება, რომ ეს გადაწყვეტილება თრაზროვანი იყოო. როგორ შეიძლება, რომ ორაზროვანი გადაწყვეტილება მაპზე უკეთესი ყოფილიყო? მაგრამ, უურნალისტს მისთვის ეს კითხვა არ დაუსვამს.

მე მესმის, რომ პრეზიდენტთან შეხვედრისას უურნალისტი შეზღუდულია კითხვების დასმაში, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ როდესაც უნდათ, სამიტის გადაწყვეტილება მაპზე უკეთესი იყო და, როდესაც უნდათ, ეს არის თრაზროვანი გადაწყვეტილება. ამ ორ განცხადებას შორის სერიოზული წინააღმდეგობაა და როგორ გავიგოთ, როდის ამბობდა ამის მთქმელი მართალს? მაგრამ, პრობლემა ისიც არის, რომ პრეზიდენტმა იცის, რომ ამ კითხვას მას არავინ დაუსვამს.

ასევე არის ამ ინვესტიციებთან დაკავშირებითაც და ასე არის ყველაფერში. ჩვენი ქვეყანა ასეთ პრინციპზე არის დღეს მოწყობილი, რომ მართვის საფუძველი არის პიარი და, აქედან გამომდინარე, იმ მომენტში რაც მიაჩნიათ საჭიროდ, იმას

ამბობენ. როდესაც უნდათ, ინგესტიციები მოდის და იზრდება და, როდესაც უნდათ, არ იზრდება. ამის მიხედვით აქვეყნებენ სტატისტიკურ მონაცემებსაც.

„მ.პ“: არსებობს მოლოდინი, რომ შემოდგომით იქნება სოციალური პრობლემების პიკი და ამ ფონზე მასობრივი საპროტესტო იალღა შეიძლება აგორდეს. რეალურად რა მდგომარეობაა და შემოდგომაზე ასეთი პროტესტი მოსალოდნელია?

ლ.პ: ჩემი შეხედულებით არაფერი მსგავსი რამ არ არის მოსალოდნელი და ძალიან კარგი, რომ არ არის მოსალოდნელი.

„მ.პ“: ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება სწორედ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს?

ლ.პ: არა, საქმე ის არის, რომ, როგორც გითხარით, ჩვენი ბიუჯეტის მთავარი რესურსი არის უცხოური დახმარებებია. ეს დახმარებები გათვლილია 2010 წლის ბოლომდე, ანუ, პრაქტიკულად, გლობალური ფინასური კრიზისის პერიოდზე. ასე რომ, რაიმე კატასტროფულ ვითარებას მე ნამდვილად არ ველოდები. თუმცა, გამორიცხულიც არაფერი არ არის. ღმერთმა დაიფაროს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ხელისუფლებამ რაიმე მორიგი სერიოზული შეცდომა დაუშვას და, თუ ეს დაუშვა, მერე კაცმა არ იცის, რა იქნება.

„მ.პ“: „სერიოზულ შეცდომაში“ პოლიტიკურს გულისხმობთ თუ ეკონომიკურს?

ლ.პ: ერთსაც და მეორესაც. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება როგორი არაპროგნოზირებადია და რას მოიმოქმედებს, კაცმა არ იცის. აქედან გამომდინარე, შეცდომების დაშვება გამორიცხული არ არის. თუ დიდი სერიოზული შეცდომა არ იქნება დაშვებული, არაფერი კატასტროფული პერსპექტივა ჩვენ არ გვაქვს.

„მ.პ“: ბიუჯეტის განაწილება სწორად ხდება?

ლ.პ: ეს ის საკითხია, რომელიც ყოველთვის არის საკამათო. იდეალურად განაწილებული ბიუჯეტი არც ერთ ქვეყანაში არ არის და ამას ვერც საქართველოს ვერ მოვთხოვთ და როგორც არ უნდა განაწილდეს, ყოველთვის მოიძებნება ის ხალხი, რომელიც ჩათვლის, რომ ეს სწორად არ ხდება. მთავარი

არის ის, თუ ქვეყანას რა პრიორიტეტები აქვს. იმას კი, თუ რა პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს, ამას განსაზღვრავს ხალხი არჩევნების დროს.

როდესაც ხალხმა აირჩია ეს ხელისუფლება და ეს პარლამენტი და დღეს რომ ამბობენ, არჩევნები გაყალბდაო, მაშინ ამ ხალხს შესაბამისი პროცესტი უნდა გამოეხატა იმ დონეზე, რომ ეს არჩევნები ან არ გაყალბებულიყო ან განმეორებითი არჩევნები დანიშნულიყო. ეს არაფერი არ მოხდა და, აქედან გამომდინარე, დღეს ბიუჯეტში ის პრიორიტეტებია, რასაც ხალხმა მისცა ხმა.

„მ.პ“: ანუ, ის შეცდომა, რაც ახსენეთ, ბიუჯეტის განაწილებაში არ არის? მთავრობის და პრემიერ-მინისტრის შეცვლა შეიძლება ასეთი შეცდომა გახდეს?

ლ.პ: მე არ ვიცი, კონკრეტულად ვინ შეიცვლება, რა მიზნით და როგორ გავლენას მოახდენს პროცესებზე. შეცდომაზე საუბრისას კონკრეტული რაიმე ქმედება არ მიგულისხმია. ცხადია, მთლიანად ხელისუფლების პოლიტიკას გვულისხმობ. რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს, წმინდა უცხოური დახმარების მიღების თვალსაზრისით მთავარი არის ის, რომ რა დახმარებაც არის მიღებული, იყოს გამჭვირვალედ გამოყენებული და ეფექტიანად დახარჯული და მეორე, მთავრობამ შეძლოს მოლაპარაკებების გაგრძელება დონორებთან, რომ დახმარება არ შეწყდეს.

„მ.პ“: ეს სრულდება?

ლ.პ: არის თუ არა გამჭვირვალედ დახარჯული, ამაზე ჯერ-ჯერობით ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია იმიტომ, რომ ეს უნდა გაირკვეს სერიოზული მონიტორინგის ჩატარების საფუძველზე. ამიტომ დღეს რაიმეს თქმა ძნელია. მე რამდენადაც ვიცი, შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, რომელიც ამ საკითხს იკვლევს. მაგრამ გარდა ამ დახმარებებისა, არის სხვა საკითხებიც. მაგალითად, უდიდესი შეცდომა იყო, თუ არა დანაშაული, რაც ამ ზაფხულში მთავრობამ გააკეთა და მსგავსი რამ არ უნდა გამეორდეს. ივნისის თვის დასაწყისში ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ხაზინაში 50 მილიონი ლარი არის აუთვისებელი და უნდა ჩავატაროთ ტენდერი და გამარჯვებულ ბანკს ეს ფული ვასესხოთ. ჩვენდა გასკვირად ამ ტენდერში გაიმარჯვა „სახალხო ბანკმა“. ამ ბანკის პრობლემები ყველაზე კარგად ვიცით, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ სწორედ ამ ბანკმა გაიმარჯვა.

ეს კიდევ არაფერი, ამ შემთხვევიდან დაახლოებით სამ კვირაში პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით კომენციული ბანკებიდან უნდა ვისესხოთ 260 მილიონიო. რა გამოვიდა, თუ ხაზინაში ზედმეტი ფული იყო, ამას რატომ სესხულობ? გამოვიდა, რომ ჯერ ასესხე 50 მილიონი და ახლა უკან რომ ისესხებენ კომერციული ბანკებიდან, ამ ბანკებს შორის ხომ შეიძლება ეს ბანკიც იყოს და დამატებით ამაში პროცენტი უნდაგადაუხადონ. ასეთ დანაშაულებებზე და ასეთ შეცდომებზე ვიძახი.

ეს არის წმინდა ეკონომიკური აფიორი და მეტი არაფერი. ეს გაკეთდა იმისთვის, ვისი ინტერესებიც არის „სახალხო ბანკში“. ფაქტია, რომ ბანკს მისცეს 50 მილიონი 5%-ად და მერე უკან ისესხეს, სულ ცოტა, 13%-ად. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ფულში ბანკს უხდიან, სულ ცოტა, 8%-ს. კარგი საქმეა არა? ვეჭვობ, რომ ეს სახელმწიფოს სჭირდებოდა.

**„მ.პ“: დონორებთან ურთიერთობა ახსენეთ და ამ მიმართულებით მთავრობა როგორ მუშაობს?**

**ლ.პ:** მე რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, პროცესი აქ შედარებით წარმატებულად მიმდინარეობს იმიტომ, რომ დახმარებები შემოდის. ის გუნდი, რომელიც დონორებთან მოლაპარაკებაზე მუშაობს, ვფიქრობ, წარმატებულია.

**„მ.პ“: ბაიდენმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ის დახმარება, რაც ამერიკამ საქართველოსთვის გამოყო, 5 მილიონიანი მოსახლეობისთვის არის დიდი თანხა. ეს განცხადება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკა ამ თანხის გამოყენების ეფექტიანობით უქმაყოფილოა?**

**ლ.პ:** რაც შეეხება ბაიდენის ამ განცხადებას, მოდით, ამას ნურც გავაზვიადებთ და ნურც დავაკნინებთ. თავისთავად ამ განცხადებას თუ მოჰყვება ამერიკის ხელისუფლების მხრიდან რაიმე რეაქცია, ეს იქნება უკვე სერიოზული განსახილველი. ბაიდენის ესგანცხადება კი ჯერ-ჯერობით არანაირად არ ასახულა საქართველოს ხელისუფლების ქმედებაზე. ეს არის ამერიკული ფული და მოდით, მათ თავადაც გააკონტროლონ თავისი ფულის ხარჯვა და ამით უკეთესად დაინახავენ, ქვეყანაში რა ვითარებაა.

**„მ.პ“: საგარეო ვალის გაზრდა რამდენად არის მისაღები?**

**ლ.პ:** დღეს საგარეო ვალის აღება არის სრულიად გამართლებული. სწორედ ამით ხდება საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ამით ხდება კრიზისულ ვითარებაში ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ძალიან ბევრ ქვეყანას სჭირდება დახმარების მიღება, მაგრამ ამას ვერ ახერხებს იმიტომ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისია. მაგრამ საქართველომ ეს მოახერხა იმიტომ, რომ რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა და საერთაშორისო დონეზე იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ საქართველოს დახმარებოდნენ.

ამას მე დავარქვი “ომის პარადოქსი”: ომი საშინელებაა, მაგრამ ამ ომის გამო ჩვენ მივიღეთ დახმარება, რომლის გარეშე საქართველოში ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში იქნებოდა. ამიტომ საგარეო ვალების აღება გამართლებულია. ცუდი სესხი იყო ის, რაც გააკეთა გურგენიძემ და ამაზე დღესაც არ გვაქვს პასუხი, თუ ნახევარი მიღიარდი დოლარის ევრობლიგაციების გამოშვებით საქართველოს ეს ვალი რატომ აპიდა. ეს ვალი დაასბრუნებელია 2013 წელს 7,5%-ით და ეს ფული უკვე დახარჯულია თუ არა, თუ არ არის, სად არის, სამწუხაროდ, ამაზე ინფორმაცია არ არსებობს.

**„მ.პ“: ინფლაცია ისეთი იქნება, როგორც ხელისუფლება ვარაუდობს?**

**ლ.პ:** ინფლაციასთან დაკავშირებით ჩვენ ყოველთვის კურიოზული ვითარება გვაქვს. როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ. ამის ყველაზე კლასიკური მაგალითია ის, თუ ოფიციალური სტატისტიკით ინფლაციის რა დონე დაფიქსირდა 2008 წელს. ამ მონაცემით წლიური ინფლაციაა 5,5%, რაც პრაქტიკულად არარეალურია. ქვეყანაში, რომელმაც ომი გადაიტანა, სადაც საბანკო აფიორა განახორციელა, როდესაც ერთ დღეს 15%-ით გააუფასურა ლარი, ამასთან გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, ამ დონის ინფლაცია არის ძალზე არარეალური.

მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მთავრობის ხელში სტატისტიკა პოლიტიკურ ინსტრუმენტად რჩება და, თუ უნდათ, რომ ოპოზიცია დაადანაშაულონ, რომ მათმა გამოსვლებმა დაანგრია ქვეყანა, მაღალ ინფლაციას დაწერენ; თუ მიზანი იქნა, რომ აჩვენონ, თავად რა კარგად მუშაობენ, – დაწერენ დაბალს. მაგრამ რეალურად ფასები რომ იზრდება, ეს ხომ ვიცით. თუმცა, ზუსტად

რამდენია ინფლაცია, ამას ვერ ზუსტად ვერ შევაფასებ. ყოველ შემთხვევაში, წლის ბოლოს ორნიშნა რიცხვზე ნაკლები რომ არ იქნება. მაგრამ ვეჭვობ, რომ ინფლაციის რეალურ მონაცემები ვინმემ გამოაქვეყნოს.

„მ.კ“: ის, რომ რეალობა არის სხვა და მთავრობა თავის მოქმედებას აგებს სხვა მონაცემებზე, ეს ქვეყანაზე რა გავლენას მოახდენს?

ლ.პ: ამ შემთხვევაში გვაქვს ერთი ცუდი რამ. მინდა პარალელი გავავლო კომუნისტურ პერიოდისა და დღევანდელ რეჟიმს შორის. კომუნისტური რეჟიმის დროსაც სტატისტიკას ასევე ჰქონდა პროპაგანდისტული ფუნქცია. ამიტომ ხელმისაწვდომი ინფორმაცია იყო დამახინჯებული. როგორც დღევანდელი ხელისუფლება ამახინჯებს სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე ამახინჯებდა კომუნისტური ხელისუფლებაც პოლიტიკური მიზნით. თუკი კომუნისტურ ხელისუფლებას სურდა, რომ კომუნისტურ “წითელ” ფერებში ეჩვენებინა ყველაფერი, ასევე “ვარდების” ხელისუფლებას უნდა, რომ ყველაფერი “ვარდისფერ” ფერებში აჩვენოს.

მაგრამ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ კომუნისტებს ჰქონდათ სამი დონის სტატისტიკა. ერთი იყო საჯარო სტატისტიკა, რაც ქვეყნდებოდა. მეორე დონე იყო სტატისტიკური ინფორმაცია სამსახურებრივი სარგებლობისთვის. ეს ყველასთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ეს ინახებოდა საგანგებო საცავებში და მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლებოდა ამის ნახვა. ამის ნახვა შეეძლოთ მეცნიერებს კვლევითი სამუშაოებისთვის. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს ინფორმაცია კი არ განსხვავდებოდა საჯარო ინფორმაციისგან, არამედ ეს უფრო გრიელი იყო.

გარდა ამისა არსებობდა კიდევ მესამე დონის სტატისტიკა, რომელსაც ჰქონდა გრიფი “საიდუმლო”. ეს იყო ცეკას მდივნებისთვის, უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობისთვის და მთავრობის წევრებისთვის. იქ რა ეწერა, არასდროს არ მინახავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ უმაღლეს ხელმძღვანელობას მაინც უნდა სცოდნოდა, ქვეყანაში რა ხდებოდა.

დღეს მთელი უბედურება ის არის, რომ ხელისუფლებაში მხოლოდ “ვარდისფერი” ინფორმაცია არსებობს. იდეალური არის ის, რომ სტატისტიკა უნდა იყოს ერთი და ობიექტური. სამი სტატისტიკის არსებობა არის ანაქრონიზმი და

შეცდომა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი შეცდომაა, რომ ქვეყნის მართვის თვალსაზრისით ერთი “ვარდისფერი” სტატისტიკა გვაქვს, ანუ უმაღლესმა ხელისუფლებამაც კი არ იცის, თუ რეალურად რა ვითარებაა ქვეყანაში და ეს არის ძალიან ცუდია. ეს დაახლოებით არის იგივე, როდესაც ექმს ავადმყოფის ჯანმრთელობის შესახებ დამახინჯებული ინფორმაცია აქვს და ამით დიაგნოზის დასმა არის შეუძლებელი. დღეს ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ უმაღლესი ხელისუფლებისთვისაც კი არ არსებობს რეალური ინფორმაცია და ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

### **რუსიკ მაჩაიძე**